CONCEPT-VISION OF TOURISM DEVELOPMENT FROM THE POINT OF VIEW TO INCREASING THE COUNTRY'S ECONOMIC BENEFITS AND SUSTAINABLE DEVELOPMENT

ტურიზმის განვითარების ხედვა-კონცეფცია ქვეყნის ეკონომიკური სარგებელის გაზრდის და მდგრადი განვითარების თვალსაზრისით

ქეთევან ახობაძე
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
თბილისი, საქართველო
ORCID ID:0000-0003-0534-9124
akhobadze21@gmail.com

Ketevan Akhobadze
National Academy of Sciences of Georgia
Doctor of Social Sciences (PhD)
Tbilisi Georgia
ORCID ID:0000-0003-0534-9124
akhobadze21@gmail.com

Abstract

In the article, the author presents the vision-concept of alternative ways of tourism development in Georgia from the point of view of water transport and religious tourism.

It is noted that today in Georgia, tourism is one of the important and developing directions, and the historical and cultural resources play a decisive role in the development of tourism. Nevertheless, in Georgia, we have no less interesting and important resources.

The author focuses on two directions of tourism, which, from his point of view, will be more beneficial for the economic strengthening of the country than several areas together (in the direction of tourism).

Georgia also has the resources of river tourism, and with the right strategic management, this direction is very profitable. Despite the change of the water level seasonally, in case of low water, the ship can be replaced by a ferry.

As for the second direction, religious tourism, today, despite the fact that there are certain pilgrimage tour routes (from the capital to the capital, etc.), the income in this regard is very small and is not sustainable. There are many reasons for this.

In the last 5 years, a number of challenges and natural disasters have hit the global world and therefore there is a need to think quickly, develop and implement

new visions and approaches. Today, the problems created on the Black Sea can hinder cruise tourism for a long time (although it has not existed for a long time in Georgia). That is why finding alternative ways at this stage is important and so necessary in terms of increasing economic benefits of the country and sustainable development.

Key words: tourism, religious tourism, cruise and river tourism, concept, sustainable development.

აბსტრაქტი

სტატიაში ავტორის მიერ წარმოდგენილია საქართველოში ტურიზმის განვითარების ალტერნატიული გზების ხედვა-კონცეფცია წყლის ტრანსპორტის და რელიგიური ტურიზმის თვალსაზრისით.

აღნიშნულია, რომ დღეს საქართველოში, ტურიზმი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და განვითარებადი მიმართულებაა და ისტორიულ-კულტურული რესურსებიც, თავისთავად, ტურიზმის დარგის განვითარებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს. მიუხედავად ამისა, საქართველოში, არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანი რესურსებიც გაგვაჩნია.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს ტურიზმის ორ მიმართულებაზე, რომელიც, მისი თვალსაზრისით, უფრო მეტი სარგებლის მომტანი იქნება ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისათვის, ვიდრე რამდენიმე სფერო ერთად (ტურიზმის მიმართულებაში).

საქართველოს გააჩნია სამდინარო ტურიზმის რესურსიც და სწორი სტრატეგიული მენეჯმენტის საშუალებით, ეს მიმართულება ძალიან მომგებიანია. მიუხედავად წყლის დონის ცვლილებისა სეზონურად, დაბალწყლიანობის შემთხვევაში, გემის ბორანით ჩანაცვლება შეიძლება.

რაც შეეხება მეორე მიმართულებას, რელიგიურ ტურიზმს, დღეს, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული მომლოცველი ტურის მარშრუტები (დედაქალაქიდან-დედექალაქამდე და ა.შ.), შემოსავალი ამ კუთხით ძალიან მცირეა და არც მდგრადი განვითარებადია. ამას მრავალი მიზეზი გააჩნია.

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, არაერთი გამოწვევა და სტიქიური უბედურება თავს დაატყდა გლობალურ მსოფლიოს და ამიტომ არის საჭირო სწრაფად აზროვნება, ახალი ხედვის და მიდგომების შემუშავება-განხორციელება. დღეს, შავ ზღვაზე შექმნილმა პრობლემებმა, შესაძლებელია დიდი ხნით შეაფერხოს საკრუიზო ტურიზმი (თუმცა საქართველოსთვის ის დიდი ხანია არ არსებობს). სწორედ ამიტომაა ალტერნატიული გზების მოძებნა ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი და ასეთი აუცილებელი ქვეყნოს ეკონომიკური სარგებელის გაზრდის და მდგრადი განვითარების თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, რელიგიური ტურიზმი, საკრუიზო და სამდინარო ტურიზმი, კონცეფცია, მდგრადი განვითარება.

შესავალი

კულტურის სფეროს თავისი ეკონომიკური შესაძლებლობა გააჩნია და აქედან გამომდინარე, მას ხელეწიფება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, წინსვლაში უდიდესი წვლილი შეიტანოს. ყველამ კარგად ვიცით, რომ კულტურის გარეშე ხარისხიანი საარსებო გარემოს შექმნა შეუძლებელია, სადაც ჩვენ, სოციალური გარანტიების გარდა, შემოქმედების საშუალება და სხვა კულტურებთან ურთიერთობა გვჭირდება. ასევე, ქვეყნის წინსვლისათვის კულტურის სფერო სახელმწიფოსაგან გარკვეული მიდგომებს ითხოვს, რომლითაც შესაძლებელი ხდება არამარტო კულტურის, არამედ სოციალური სივრცის განვითარება. კერძოდ: იქმნება წინაპირობა ადამიანური კაპიტალის შექმნა-განვითარებისათვის;

ქვეყანაში სოციალური აქტივობა დაიკარგა. ეს, თავისთავად, მოსახ-ლეობის მარგინალიზაციის გაზრდილმა პროცესებმა, ფასეულობათა გადაფასების რთულმა გზამ, ზნეობრიობის ორიენტირებმა, სოციალიზაციის და ინკულტურიზაციის შესუსტებამ გამოიწვია

დღეს საქართველოში, ტურიზმი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და განვითარებადი მიმართულებაა. ისტორიულ-კულტურული რესურსებიც, თავისთავად, ტურიზმის დარგის განვითარებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს. თუმცა არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანი რესურსებიც გაგვაჩნია. მინდა აღვნიშნო, რომ ბოლომდე, ამ რესურსების სტრუქტურები ჯერაც განსაზღვრული და გამოკვეთილი არ არის - საკითხის მიდგომებში განსხვავებული აზრის არსებობის გამო. ასევე, არ არსებობს რესურსების არც უზრუნველყოფის და არც შეფასების სრულყოფილი თეორია, ანალიზი, გაურკვეველია ტურიზმის შესახებ კანონის ბედიც (ახობაძე ქ,. 2018).

მეთოდი

თანამედროვე ცხოვრება ადამიანებისგან რთული ამოცანების გადაწყვეტას მოითხოვს. ჩვენთვის ამ მნიშვნელოვანი პრობლემატიკის შესწავლა-გააზრებამ მეცნიერული კვლევის, ანალიზის და ახალი მიდგომებისკენ მიბიძგა. ეს კონცეფცია-ხედვაც სწორედ თვისობრივი და შედარებითი კვლევის მეთოდებზეა დამყარებული.

მსჯელობა და დასკვნები

მიმაჩნია, რომ საქართველოს კულტურის პოლიტიკის ერთ-ერთი ძირეული და უმნიშვნელოვანესი საკითხია ქვეყანაში როგორც დედაქალაქის, ისე რეგიონალური ტურიზმის განვითარების საკითხი.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების პრიორიტეტები ამ ეტაპზე - იაფიანი ფრენები და ეკო-ტურიზმია. ეს ეკონომიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე მოცემული ტრატეგიული დოკუმენტებიდან ჩანს, მაგრამ ვფიქრობ, თქვენი ყურადღება გავამახვილო ტურიზმის ორ მიმართულებაზე, რომელიც უფრო მეტი სარგებლის მომტანი იქნება ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისათვის, ვიდრე რამდენიმე სფერო (ტურიზმის მიმართულებაში) ერთად (https://www.economy.ge/?page=ecoreview&s=22; https://gnta.ge/ge/).

აღსანიშნავია, რომ ადამიანების წყლის ტრანსპორტირება უძველესი დროიდან იყო ცნობილი. როგორც მიიჩნევა, თანამედროვე წყლის ტრანსპორტი, მომსახურების სექტორიდან გამომდინარე, იყოფა - საზღვაო და მდინარის. საზღვაო ტრანსპორტით ხორციელდება საერთაშორისო, საქალაქთაშორისო და კაბოტაჟის გადაზიდვები.

დღევანდელ გლობალურ მსოფლიო კრიზისული სიტუაციებიდან გამომდინარე, ჩვენი ინტერესის სფეროა საქალაქთაშორისო მგზავრთა ტრანსპორტირება ჩვენი ქვეყნის პორტებს შორის, როდესაც გემები ღია ზღვაზე არიან;

"სანაპირო (Cabotage) რეისები" ხორციელდება სანაპიროს გასწვრივ პორტებს შორის, ღია ზღვაზე წვდომის გარეშე.

მდინარის ფლოტის გემებით კი მგზავრები გადაყავთ შიდა წყლის გზებით, რომლებიც მოიცავს მდინარეებს, ტბებს, დიდ წყალსაცავებსა და არხებს (ბერაია პ,. 2023).

საკრუიზო ტურიზმი, მიუხედავად მასშტაბების სიმცირისა, ეს დარგი შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს ჩვენი ქვეყნისათვის, თუნდაც მისი ერთი რეგიონის, აჭარის განვითარებისათვის.

მეოცე საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, საკრუიზო ინდუსტრია ტურისტული ინდუსტრიის ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორი გახდა. საკრუიზო ტურიზმი მიეკუთვნება ტურიზმის განსაკუთრებულ ტიპს, რადგან ის არის საკმაოდ შრომატევადი, კაპიტალმოცულობითი ტურიზმი, რომელიც აერთიანებს ტურიზმის რამდენიმე სახეს - რეკრეაციულ, სპორტულ, გამაჯანსაღებელ, საგანმანათლებლო და ა.შ.. კრუიზის შემთხვევაში, რომელიც, მართალია, არის მოგზაურობა წყლის ტრანსპორტით, დაკავშირებულია სანაპიროზე ექსკურსიებთან, ღირშესანიშნაობების დათვალიერებასთან საპორტო ქალაქებში, ასევე, მრავალფეროვან გასართობ ღონისძიებებთან საზღვაო და მდინარის ლაინერებზე.

საკრუიზო ტურების მნიშვნელოვანი მახასიათებელია ბორტზე გართობის ორგანიზება. საკრუიზო გემებზე ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბი, იწვევენ მსახიობებს, მომღერლებს, იმართება შოუები, ფუნქციონირებს სათამაშო კლუბები და კაზინოები. როგორც წესი, საკრუიზო ტური მოიცავს კვებას, სპორტული დარბაზისა და აღჭურვილობის გამოყენებას და გართობას. საკრუიზო ტურების ერთ-ერთი უპირატესობა მათი უვიზო მიმოსვლაა. მგზავრებს შეუძლიათ პორტებში დარჩენა და ექსკურსიების გაკეთება 48-72 საათის განმავლობაში უვიზოდ. კრუიზების ყველაზე დიდი მინუსი არის მათი საკმაოდ მაღალი ფასი.

ამიტომ ჩვენ, ყურადღებას დაბალბიუჯეტიან ტურებზე გავამახვილებთ შავ ზღვასა და მდინარეებზე, მცირე ზომის ლაინერით და ბორნით.

აღსანიშნავია ტურიზმის ბაზარზე განვითარებული ცვლილებები, ახალი ტენდენციების გაჩენა - საერთაშორისო ტურიზმის დინამიურად განვითარებად ინდუსტრიაში. ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია ტურისტული ნაკადების არათანაბარი განაწილება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონსა და ქვეყანაში. ტურისტული ნაკადები კონცენტრირებულია მსოფლიოს რამდენიმე რეგიონში და მათი მოძრაობა ძირითადად ინტრარეგიონული ხასიათისაა.

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ტურისტების სერვისზე მზარდ მოთხოვნილებასთან ერთად, თავად ტურისტული პროდუქტი უფრო დახვეწილია, იზრდება მისი შრომის ინტენსივობა და კაპიტალის ინტენსივობა. ესდიდწილადგანპირობებულიატურიზმისახალისახეობების გაჩენით და ამ განსაკუთრებული სახეობების მდგრადი განვითარებით. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ტურიზმის ინდუსტრიას შეექმნა მწვავე პრობლემა როგორც რეკრეაციული რესურსების, ისე, ზოგადად, ტურისტული რესურსების შენარჩუნებისა და განვითარების კუთხით. ამან განაპირობა ისეთი ახალი ტიპის ტურიზმის გაჩენა და განვითარება, როგორიცაა ეკოლოგიური ტურიზმი, სამეცნიერო, რელიგიური, ჯანმრთელობის, საქმიანი და ა.შ., როცა ბუნებრივი ლანდშაფტი, სუფთა წყლის ობიექტები, ფლორა და ფაუნა სულ უფრო მიმზიდველი ხდება. სწორედ ბუნებასთან კომუნიკაციის ლტოლვის შედეგად გაჩნდა ტურიზმის ისეთი სახეობა, როგორიცაა სოფლის (აგრო) ტურიზმი.

2000 წელს თბილისში მტკვარზე გემით სასეირნო ტურის იდეა პროექტის სახით წარვუდგინე მის მფლობელს, რომელიც მხოლოდ „ნაცნობ-მეგობრების“ დონეზე ამუშავებდა პატარა გემს 30 წუთიანი მარშრუტით. მისთვის ეს წინადადება არ აღმოჩნდა საინტერესო სხვა მსხვილი ბიზნესების ქონის გამო. ამიტომ მდინარის ეს ტური და ბორანზე სეირნობის იდეა უყურადღებოდ დარჩა. საბედნიეროდ, დღეს უკვე რამდენიმე კატერი მოძრაობს მტკვრის ორივე სანაპიროზე, თუმცა ეს რაოდენობა არასაკმარისია და ამინდს ვერ ქმნის.

ასეთი მაგალითები უამრავია მსოფლიოს სხვადასხვა დონის ქვეყანაში: მაგალითად, პარიზში სენაზე 1 საათიანი გასეირნება 18 ევროდან იწყება 90 ევრომდე, იმის მიხედვით, რა დამატებით მომსახურებას სთავაზობთ ტურისტს; ლონდონში, ტემზაზე სითი-ტურები სავარაუდოდ 11-დან 38 ფუნტამდე მერყეობს (ბავშვებისათვის დაბალი ტარიფებია) და იცვლება სახეობის და მომსახურების მიხედვით; რუსეთში, მოსკვა-რეკაზე ტურები 400-დან 1140 რუბლი ღირს და 6 წლამდე ბავშვებისათვის კი უფასოა... იტალიაში ტიბრზე ნახევარსაათიანი ტურებია და 18 ევრო ღირს...

ჩვენ გვაქვს სამდინარო ტურიზმის რესურსიც და სწორი სტრატეგიული მენეჯმენტის საშუალებით, ეს მიმართულება ძალიან მომგებიანია მიუხედავად წყლის დონის ცვლილებისა სეზონურად, დაბალწყლიანობის შემთხვევაში, გემის ბორანით ჩანაცვლება შეიძლება (ბერაია პ., 2023).

რაც შეეხება მეორე მიმართულებას, რელიგიურ ტურიზმს, აქაც გვაქვს გამოსავალი. დღეს, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული მომლოცველი ტურის მარშრუტები (დედაქალაქიდან-დედექალაქამდე და ა.შ.), შემოსავალი ამ კუთხით ძალიან მცირეა და არც მდგრადი განვითარებადია. ამას მრავალი მიზეზი გააჩნია (გრძელიშვილი ნ,. 2023).

ვფიქრობ, რელიგიური ტურიზმის შემოსავლიანობა რომ გაიზარდოს, უნდა მოხდეს გათვლა იმ მიზნობრივ ჯგუფებზე, რომლებიც კონკრეტული მიზნისთვის ჩამოვლენ საქართველოში თავისი აღმსარებლობიდან გამომდინარე. ვგულისხმობ - რელიგიური ტურიზმს ქრისტიანობის (მართლმადიდებლური, კათოლიკური), ისლამის და ებრაული კულტურული მემკვიდრეობის რესურსების გამოყენება-ამუშავების მიმართულებით.

ყველამ კარგად ვიცით, რომ რელიგიური მიზნით მოგზაური ტურისტი არის პირი, რომელიც მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიემგზავრება, არა უმეტეს ექვსი თვის განმავლობაში, წმინდა ადგილებისა და რელიგიის ცენტრების მოსანახულებლად. რელიგიური ტურიზმი უნდა გვესმოდეს, როგორც საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია მომსახურების მიწოდებასთან და ტურისტების საჭიროებების დაკმაყოფილებასთან, რომლებიც მიემგზავრებიან წმინდა ადგილებსა და რელიგიურ ცენტრებში, რომლებიც მათ ჩვეულ გარემოს მიღმაა.

აღსანიშნიშნავია, რომ რელიგიური ტურიზმი იყოფა ორ ძირითად ტიპად: მომლოცველთა ტურიზმი და საექსკურსიო-საგანმანათლებლო ორიენტაციის რელიგიური ტურიზმი.

ბოლო 5 წლის განმავლობაში, მკვლევარმა მ.ქუთათელაძემ და მის გარშემო არსებულმა გუნდმა მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარეს ამ მიმართულებით, რომელიც საშუალებას იძლევა შევთავაზოთ მრავალ ქვეყანას პაკეტები - სამი რელიგიის მიმართულებით არსებული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებით (ქუთათელაძე მ., 2021); (ქუთათელაძე მ,. 2023).

კათოლიკური სამყარო ძალიან მრავალრიცხოვანია თავისი მრევლით და სწორად შემუშავებული მარშრუტები - „კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში“, გამართული მენეჯმენტი და ლოგისტიკა - საკმაოდ ეკონომიკური სარგებლის მომტანი გახდება ქვეყნისთვის. მსგავსი სიტუაციაა ებრაულ და მუსლიმურ კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის კუთხითაც. ფაქტიურად, აღნუსხულია (ინვენტარიზავიის სახით, თავისი ისტორიებით, ლეგენდებით და ა.შ.) ყველა ძეგლი, შენობა-ნაგებობა და გამოჩენილი პიროვნება ამ კონფესიური და ეროვნული კუთვნილებით.

მიმაჩნია, რომ კარგი იქნება, თუ ისეთ აზროვნებას მივეჩვევით, რომ არსებობს - ბაზარი და საბაზრო ურთიერთობები. მაგრამ ხშირად გვავიწ-ყდება, რომ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია ნამდვილი საბაზრო ურიერთობები, ბაზრის კონიუქტურა კულტურის სფეროში და, არა მარტო კულტურის, არამედ თუნდაც ბიზნესის სფეროში.

რატომღაც, „რეფორმები ხორციელდება პრაქტიკაში“, როცა ჯერ შესწავ-ლილიც კი არ არის პრობლემატიკა, კულტურის სპეციფიკის გათვალის-წინებით, ტურიზმის მიმართულებით. მითუმეტესს, არც გააზრებულია ის, რომ - კულტურა საბიუჯეტო სფეროა...

გარკვეულ ქვეყნებში - სახელმწიფო სექტორის ეკონომიკა ახალი ხედვაა და მას მრავალი მკვევარი თუ მეცნიერი ახალ მიმართულებად მიიჩნევს, რადგან ეყრდნობა: ეკონომიკურ, იურიდიულ, სოციალურ, პოლიტიკურ მეცნიერებებს და ეკონომიკური სივრცის ნაწილი გახდა, სადაც,

- სახელმწიფოა ეკონომიკური მოღვაწეობის სუბიექტი;
- საბაზრო ურთიერთობები ან არ არის ან ნაწილობრივაა ჩამოყალი-ბებული.

ამიტომ კოორდინაცია არა საბაზრო, არამედ ეკონომიკური მოღვა-წეობით და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით ხდება. იწარმოება და მოიხმარება არა კერძო, არამედ „საზოგადოებრივი დოვლათი/ კეთილდღეობა“. ამის დამბალანსებელია სახელმწიფო, თვითმართველობის ორგანოები შესაბამის სოციალურ ინსტიტუტებთან ერთად. რადგან,

საზოგადოებრივი კუთვნილების რესურსები არ არის ყიდვა-გაყიდვის საგანი და კერძო სექტორს მოგებას ვერ მოუტანს (წამგებიანია).

ამიტომ, ეკონომიკური სარგებლის სპეციფიკიდან გამომდინარე, სახელმწიფო და საბაზრო სექტორების მიზანიც და მიღებული შედეგები - განსხვავებულია... (https://gnta.ge/wpcontent/uploads/2021/10 ; https://gnta.ge/wp-content/uploads/2015/01.pdf).

ჯერ კიდევ 2012 წელს რამდენიმე საჯარო ლექცია მქონდა კულტურის პოლიტიკის არსის და მისი განვითარების პრობლემატიკასთან დაკავშირებით, მაგრამ უმრავლესობისათვის ეს საკითხები სრულიად გაუგებარი იყო, რის გამოც დიდხანს უყურადღებოდ დარჩა. მაგრამ 2016 წელს საქართველომ დადო ეს პროდუქტი - „კულტურა - 2025“. კონცეფცია არ იყო სრულყოფილი, მაგრამ ქვეყნისთვის ასეთი აზროვნება იყო - მნიშვნელოვანი.

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, არაერთი გამოწვევა და სტიქიური უბედურება თავს დაატყდა გლობალურ მსოფლიოს და ამიტომ არის საჭირო სწრაფად აზროვნება, ახალი ხედვის და მიდგომების შემუშავება-განხორციელება. დღეს შავ ზღვაზე შექმნილმა პრობლემებმა, შესაძლებელია დიდი ხნით შეაფერხოს საკრუიზო ტურიზმი (თუმცა საქართველოსთვის ის დიდი ხანია არ არსებობს). სწორედ ამიტომაა ალტერნატიული გზების მოძებნა ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი და ასეთი აუცილებელი ქვეყნოს ეკონომიკური სარგებელის გაზრდის და მდგრადი განვითარების თვალსაზრისით.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

akhobadze, k. (2018). *sakhelmtsipo da kulturis politika.* tblisi: gamomtsemloba “universali”. (ახობაძე, ქ. (2018). *სახელმწიფო და კულტურის პოლიტიკა.* თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.).

beraya, p. (2023). *sakartvelos sazghvao transporti gardamaval da damoukideblobis periodshi.* tbilisi. ბერაია, პ. (2023). *საქართველოს საზღვაო ტრანსპორტი გარდამავალ და დამოუკიდებლობის პერიოდში.* თბილისი.)

beraya, p. (2023). s*akartvelos shavi zghvis de paqto sanapiros problemebi da mati aghmopkhvris gzebi.* tbilisi. (ბერაია, პ. (2023). *საქართველოს შავი ზღვის დე ფაქტო სანაპიროს პრობლემები და მათი აღმოფხვრის გზები.* თბილისი.).

grdzelishvili, n. (2023). *religiuri turizmi (sami natsili).* tbilisi. (გრძელიშვილი, ნ. (2023). *რელიგიური ტურიზმი (სამი ნაწილი).* თბილისი.).

kutateladze, m. (2021). *mechetebi sakartveloshi. samkhret sakartvelo.* tbilisi: gamomtsemloba “sezani”. (ქუთათელაძე, მ. (2021). *მეჩეთები საქართველოში. სამხრეთ საქართველო.* თბილისი: გამომცემლობა „სეზანი“.).

kutateladze, m. (2023). *ebraelebi sakartveloshi.* tbilisi: gamomtsemloba “intelekti”. (ქუთათელაძე, მ. (2023). *ებრაელები საქართველოში.* თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.).

https://www.economy.ge/?page=ecoreview&s=22 ბოლო ნახვა:15.08.2023.

https://gnta.ge/ge/ ბოლო ნახვა:10.08.2023.

https://gnta.ge/wp-content/uploads/2015/01.pdf ბოლო ნახვა:10.08.2023.